

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ჯორჯიან ბას“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,903,325	2,405,296
		3,903,325	2,405,296
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	369,716	2,302,267
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,271,627	1,205,954
გაცემული სესხები	7	1,056,539	912,499
მარაგები	8	98,180	53,820
		2,796,062	4,474,541
მთლიანი აქტივები		6,699,387	6,879,837
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		71,610	71,610
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,875,376	5,372,925
		4,946,986	5,444,535
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	882,275	582,338
		882,275	582,338
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	661,275	684,689
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	166,869	130,318
გადასახდელი პროცენტი		41,981	37,956
		870,125	852,963
მთლიანი ვალდებულებები		1,752,401	1,435,301
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,699,387	6,879,836

დირექტორი

შალვა ხუციშვილი

დირექტორი

ზურაბი კალანდია

20 სექტემბერი 2023 წელი

თბილისი, საქართველო

6 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31/12/2022	31/12/2021
ამონაგები	11	8,139,789	8,538,231
თვითღირებულება	12	(7,513,305)	(4,229,877)
საერთო მოგება		626,484	4,308,353
სხვა შემოსავლები	13	59,537	9,282
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(1,004,859)	(714,430)
მიწოდების დანახარჯები	15	(138,828)	(15,368)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16	131,913	53,136
სხვა ხარჯები	17	(174,072)	(13,529)
საოპერაციო მოგება		(499,825)	3,627,444
ფინანსური შემოსავალი		97,111	92,478
ფინანსური ხარჯი		(94,834)	(107,207)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		2,276	(14,729)
მოგება დაბეგვრამდე		(497,549)	3,612,714
წმინდა მოგება		(497,549)	3,612,714
მთლიანი სრული შემოსავალი		(497,549)	3,612,714

დირექტორი
შალვა ხუციშვილი

დირექტორი
ზურაბი კალანდია

20 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	71,610	1,760,211	1,831,821
წმინდა მოგება	-	3,612,714	3,612,714
პერიოდის სრული შემოსავალი	-	3,612,714	3,612,715
2021 წლის 31 დეკემბერი	71,610	5,372,925	5,444,535
წმინდა მოგება	-	(497,549)	(497,549)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(497,549)	(497,549)
2022 წლის 31 დეკემბერი	71,610	4,875,376	4,946,987

დირექტორი
შალვა ხუციშვილი

დირექტორი
ზურაბი კალანდია

20 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

6 – 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,903,325	2,405,296
		3,903,325	2,405,296
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	369,716	2,302,267
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,271,627	1,205,954
გაცემული სესხები	7	1,056,539	912,499
მარაგები	8	98,180	53,820
		2,796,062	4,474,541
მთლიანი აქტივები		6,699,387	6,879,837
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		71,610	71,610
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,875,376	5,372,925
		4,946,986	5,444,535
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	882,275	582,338
		882,275	582,338
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	661,275	684,689
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	166,869	130,318
გადასახდელი პროცენტი		41,981	37,956
		870,125	852,963
მთლიანი ვალდებულებები		1,752,401	1,435,301
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,699,387	6,879,836

დირექტორი
შალვა ხუციშვილი

დირექტორი
ზურაბი კალანდია

20 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31/12/2022	31/12/2021
ამონაგები	11	8,139,789	8,538,231
თვითღირებულება	12	(7,513,305)	(4,229,877)
საერთო მოგება		626,484	4,308,353
სხვა შემოსავლები	13	59,537	9,282
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(1,004,859)	(714,430)
მიწოდების დანახარჯები	15	(138,828)	(15,368)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16	131,913	53,136
სხვა ხარჯები	17	(174,072)	(13,529)
საოპერაციო მოგება		(499,825)	3,627,444
ფინანსური შემოსავალი		97,111	92,478
ფინანსური ხარჯი		(94,834)	(107,207)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		2,276	(14,729)
მოგება დაბეგვრამდე		(497,549)	3,612,714
წმინდა მოგება		(497,549)	3,612,714
მთლიანი სრული შემოსავალი		(497,549)	3,612,714

დირექტორი
შალვა ხუციშვილი

დირექტორი
ზურაბი კალანდია

20 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო



შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	71,610	1,760,211	1,831,821
წმინდა მოგება	-	3,612,714	3,612,714
პერიოდის სრული შემოსავალი	-	3,612,714	3,612,715
2021 წლის 31 დეკემბერი	71,610	5,372,925	5,444,535
წმინდა მოგება	-	(497,549)	(497,549)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(497,549)	(497,549)
2022 წლის 31 დეკემბერი	71,610	4,875,376	4,946,987

დირექტორი
შალვა ხუციშვილი

დირექტორი
ზურაბი კალანდია



20 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

6 – 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯორჯიან ბას“ (ს/კ 412700466) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ეგ. ნინოშვილის, V შეს., #12. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის წილის მფლობელები არიან: შალვა ხუციშვილი-30%, ზურაბი კალანდია-20%, რუდიგერ გოლლუქე-50%. კომპანიის დირექტორად წარმოდგენილი არიან შალვა ხუციშვილი და ზურაბი კალანდია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, როგორც სამგზავრო, სახმელეთო ტრანსპორტით მომსახურება, ასევე ტურისტული სააგენტოების საქმიანობა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
1 USD/GEL	2.7020	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	2.8844	3.5040	4.0233

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, კომპანია, საქმიანობიდან გამომდინარე, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რომელიც ნათლად ასახავს აქტივების მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

სატრანსპორტო საშუალებები
სხვა ძირითადი საშუალებები

10
5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა– დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	11,356	64,987	3,375,988	25,720	3,478,050
შემოსვლა	-	5,457	2,236,268	-	2,241,725
გასვლა	-	(3,076)	(409,548)	-	(412,625)
31 დეკემბერი 2022	11,356	67,367	5,202,708	25,720	5,307,151
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2021	(5,719)	(37,385)	(1,021,653)	(7,997)	(1,072,754)
პერიოდის ცვეთა	(2,209)	(8,792)	(471,176)	(2,572)	(484,749)
გასვლა	-	224	153,454	-	153,678
31 დეკემბერი 2022	(7,928)	(45,952)	(1,339,375)	(10,569)	(1,403,825)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	5,636	27,602	2,354,335	17,723	2,405,296
31 დეკემბერი 2022	3,427	21,415	3,863,332	15,151	3,903,325

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	34,103	7,008
ეროვნული ვალუტა ბანკში	43,046	994,286
უცხოური ვალუტა ბანკში	292,567	1,300,973
სულ	369,716	2,302,267

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	662,363	261,291
გადახდილი ავანსები	181,392	126,641
საგადასახადო აქტივი	374,023	64,285
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	10,164
საქვეანგარიშო თანხები	53,850	743,573
სულ	1,271,627	1,205,954

7. გაცემული სესხები

	2022	2021
გაცემული სესხი ორგანიზაციებზე	1,009,273	869,904
გაცემული სესხი ფიზიკურ პირებზე	47,266	42,595
სულ	1,056,539	912,499

8. მარაგები

	2022	2021
სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები	70,926	-
ნავთობპროდუქტები	22,109	51,637
სხვა მარაგები	5,145	2,184
სულ	98,180	53,820

9. სესხები

	2022	2021
გრძელვადიანი სესხი		
საბანკო სესხები	211,831	580,763
გრძელვადიანი სესხი	670,445	1,575
	882,275	582,338
მოკლევადიანი სესხი		
საბანკო სესხები (მოკლევადიანი)	252,090	389,785
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	409,185	294,904
	661,275	684,689
სულ სესხები	1,543,550	1,267,028

კომპანიას გრძელვადიანი სესხები აღებული აქვს როგორც დამფუძნებლისგან და დამფუძნებლის კონტროლს ქვეშ მყოფი ორგანიზაციიდან, ასევე საკრედიტო ორგანიზაციებიდან (ბანკებიდან). გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი მოიცავს დამფუძნებლისგან აღებულ სესხს 10,426 ლარს და დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი ორგანიზაციიდან მიღებულ სესხს 398,759 ლარს.

გრძელვადიანი სესხები მოიცავს სესხებს შემდეგი პირობებით:

გაცემის თარიღი	დაფარვის ვადა	სესხის თანხა	სესხის განაკვეთი
22.06.2018	20.09.2023	60 000.00 EUR	8%
29.12.2018	15.05.2024	60 000.00 EUR	8%
02.02.2019	28.04.2024	55 000.00 EUR	8%
14.02.2019	28.02.2024	200 000.00 EUR	6%
28.08.2018	01.03.2023	40 000.00 EUR	6%
30.04.2019	09.09.2023	200 000.00 EUR	6.5%
30.01.2020	05.06.2023	150 000.00 EUR	5%
26.10.2022	20.10.2026	100 000.00 EUR	7.51%
29.01.2022	01.02.2027	300 000.00 EUR	4.5%

კომპანიამ ძირითადი საშუალებების შესაძენად 2022 წელს აიღო სესხი როგორც დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი ორგანიზაციიდან, ასევე ბანკიდან. კომპანიას უზრუნველყოფილი არ აქვს დამფუძნებლისგან მიღებული სესხები. საბანკო სესხები, რომელიც შეადგენს 200 000 ევროსა, 150 000 ევროს და 100 000 ევროს, უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით.

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	150,311	55,466
მიღებული ავანსები	16,559	74,852
სულ	166,869	130,318

11. ამონაგები

	2022	2021
საქონლის გაყიდვა	5,102	38,021
მომსახურების გაწევა	8,134,687	8,500,210
სულ	8,139,789	8,538,231

12. თვითღირებულება

	2022	2021
პირდაპირი შრომის ხარჯი	(405,833)	(282,254)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(1,719,870)	(1,207,048)
პირდაპირი მასალის ხარჯი	(2,915)	(43,580)
საწვავი	(2,301,955)	(1,238,606)
რესტორნისა და კვების ხარჯი	(368,817)	(108,899)
საექსკურსიო მომსახურება	(258,909)	(75,336)
სასტუმროს და განთავსების ხარჯი	(1,738,445)	(803,972)
სხვა პირდაპირი ხარჯი	(245,386)	(134,619)
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	(471,176)	(335,563)
სულ	(7,513,305)	(4,229,877)

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

13. ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(377,208)	(321,744)
მივლინების ხარჯები	(94,944)	(35,136)
სხვა ხარჯი	(125,914)	(45,489)
იჯარის ხარჯი	(93,487)	(55,004)
ოფისის ხარჯი	(23,934)	(30,395)
კომუნალური ხარჯები	(7,622)	(6,005)
კომუნიკაციის ხარჯები	(8,139)	(5,912)
დაზღვევის ხარჯი	(129,772)	(83,484)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(130,266)	(115,909)
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,573)	(15,353)
სულ	(1,004,859)	(714,430)

14. მიწოდების ხარჯები

	2022	2021
რეკლამის ხარჯი	(124,112)	(10,374)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(14,716)	(4,994)
სულ	(138,828)	(15,368)

15. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

	2022	2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	194,913	53,136
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდა	(63,001)	-
სულ	131,913	53,136

16. სხვა ხარჯები

	2022	2021
ძირითადი საშუალებების რეგისტრაციიდან მოხსნ	(128,226)	-
ჯარიმები	(43,936)	(11,829)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1,910)	(1,700)
სულ	(174,072)	(13,529)

შპს „ჯორჯიან ბას“
(თანხები მოცემულია ლარში)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

	2022	2021
დამფუძნებლის სესხი	10,425	61,471
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი სესხი	1,069,204	624,793

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურება მთლიანად	168,082	178,888
სულ	168,082	178,888

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.